დამტკიცებულია თჰუ აკადემიური საბჭოს
2021 წლის 03 სექტემბრის N13 გადაწყვეტილებით

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
ელექტრონული სწავლების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის" (შემდგომში - „სასწავლო უნივერსიტეტი") ელექტრონული სწავლების მეთოდებს, ფორმებს და მისი ეფექტიანობისათვის საჭირო შეფასების კრიტერიუმებს.
2. ელექტრონული სწავლება (დისტანციური სწავლება) სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს გამოიყენონ პერსონალიზებული და მოქნილი (დროისა და ადგილის მიხედვით) მეთოდები, ამასთანავე უზრუნველყონ სწავლის შედეგების მიღწევა ონლაინ ინფორმაციის წყაროების, ასევე ვიდეო და აუდიო არხების გამოყენების გზით.
3. ელექტრონული სწავლების კომპონენტები გამოიყენება ფორსმაჟორული ვითარების დროს, სტუდენტთა ავადობის ან დროებითი/ხანგრძლივი შეზღუდული შესაძლებლობების დროს, პროფესორ-მასწავლებელთა დროებითი შრომისუუნარობის დროს, რაც გამორიცხავს სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ლექტორისა და სტუდენტის ერთდროულად ყოფნას.
4. კონკრეტულ სტუდენტ(ებ)თან მიმართებით ან ზოგადად სწავლების ელექტრონულ სისტემის გამოყენების შესახებ, ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილება ფორმდება რექტორის ბრძანებით. ბრძანებით შეიძლება განისაზღვროს შუალედური/დასკვნითი გამოცდების ჩატარების ფორმა, სემესტრის განსხვავებული ვადები, კონკრეტული მიმართულებებისთვის/დარგებისთვის განსხვავებული ვადები და პირობები.
5. სწავლების ელექტრონული სისტემა უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგებზე გასვლა.
6. ელექტრონული სწავლების დაწყების შესახებ სტუდენტთა ინფორმირება ხდება წინასწარ. აკადემიური რეგისტრაციის დროს, სტუდენტს უნდა ქონდეს შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში დაადასტუროს, რომ სურს ელექტრონულ სწავლებაში ჩართვა ან უნდა ქონდეს შეთავაზება შეიჩეროს სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 2. ელექტრონული სწავლების დაგეგმვა

1. ელექტრონული სწავლების ძირითადი საშუალებაა ონლაინ კურსები - დისტანციური განათლების ფორმა, სადაც მიწოდების ძირითადი მექანიზმია ინტერნეტი. მათი ჩატარება სინქრონულად და/ან ასინქრონული გზით არის შესაძლებელი.

ა) სინქრონული ონლაინ კურსები ის კურსებია, სადაც სტუდენტები და აკადემიური პერსონალი ერთსა და იმავე დროს მონაწილეობენ მეცადინეობაში, მაგრამ დისტანციურად, არა სასწავლო დაწესებულებაში. ეს კურსები შეიძლება ჩატარდეს ვიდეო კონფერენციებით, ვებ-კონფერენციებით, აუდიო კონფერენციებით და ა.შ.

ბ) ასინქრონული ონლაინ კურსები - კურსები, სადაც სტუდენტებს არ ევალებათ მეცადინეობებში მონაწილეობა ლექტორთან ერთად. ეს შეიძლება იყოს ბეჭდვით მასალაზე დაფუძნებული კურსები ან ონლაინ კურსები ელექტრონული სწავლების მართვის სისტემის გამოყენებით.

2. ელექტრონული სწავლება შესაძლებელია შერეული/ჰიბრიდული კურსების მეშვეობით. ეს არის კურსები, რომლებიც მიზნად ისახავს როგორც ინტერნეტით სწავლების, ასევე პირისპირ სწავლების კომბინაციის გამოყენებას.
3. ელექტრონული სწავლების ძირითადი მექანიზმია საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება - მასალები, რომლებსაც უფასოდ სთავაზობენ სტუდენტებსა და ლექტორებს.
4. დისტანციური სწავლების პროცესში სასწავლო უნივერსიტეტი იყენებს შემდეგ პლატფორმებსა და ელექტრონულ საშუალებებს: : Zoom, Moodle, და სხვა.
5. სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია სტუდენტებს დაეხმაროს ყველა იმ აპლიკაციის მიწოდებასა და შესაბამისი პროცედურებით თავიანთ ელექტრონულ მოწყობილებებშიასახვაში, რომელსაც სასწავლო უნივერსიტეტი იყენებს ელექტრონული სწავლების პროცესში. ამმიზნით, სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სამსახური სხვა სტრუქტურების ჩართულობით ამზადებს ელექტრონული საშუალებების გამოყენების/დამონტაჟების ვიდეო/აუდიო/ალბომურ ინსტრუქციებს და განათავსებს სტუდენტთა ხელმისაწვდომ პლატფორმებზე. ელექტრონული სწავლების პროცესში, სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს საბიბლიოთეკო რესურსებზე სტუდენტთა შეუფერხებელი წვდომა დისტანციურად.
6. სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სწავლების პროცესის დაგეგმვაში და განხორციელებაში ჩართული პერსონალის გადამზადებას და ყველა ტექნიკური საშუალებით აღჭურვას, რაც საჭიროა მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი ელექტრონული სწავლების ეფექტიანად განხორციელებისათვის.

მუხლი 3 აკადემიური პერსონალი ელექტრონული სწავლების პროცესში

1. აკადემიური პერსონალი სალექციო მასალის მიწოდებას ახორციელებს ასინქრონული მეთოდით, ხოლო სემინარების (პრაქტიკული მეცადინეობების, გამოკითხვის სხვა ფორმები) - სინქრონული მეთოდით. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ლექტორი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს ლექცია, სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები და გამოკითხვის სხვა ფორმები ჩაატაროს სინქრონულად თუ ასინქრონულად.
2. აკადემიურ პერსონალს შეუძლია თავად განსაზღვროს ვიდეოს ჩაწერა-ჩართვას განახორციელებს უნივერსიტეტის შენობიდან თუ სხვა ლოკაციიდან, რომელიც უზრუნველყოფილია უწყვეტი ინტერნეტით, დაცულია სიწყნარე და შეესაბამება აკადემიური პროცესისთვის დადგენილ სტანდარტებს.
3. ასინქრონული ფორმით ვიდეო ლექციის მიწოდების შემთხვევაში, ლექცია იწერება ორი კვირით ადრე ცხრილით დაგეგმილი დროის შესაბამისად და იტვირთება სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში ცხრილის მიხედვით არაუგვიანეს წინა დღისა.
4. ვიდეო ლექციის ფორმატი უნდა ითვალისწინებდეს:
ა) პირველი ლექცია - სილაბუსის გაცნობა (5-10 წუთი), სილაბუსით გათვალისწინებული საკითხის ახსნა (მინიმუმ 30 წუთი), საშინაო დავალება/სემინარის აღწერა (5-10 წუთი);
ბ) მეორე და შემდეგი ლექციები - წინა სალექციო მასალის გამეორება (5-10 წუთი), სილაბუსით გათვალისწინებული საკითხის ახსნა (მინიმუმ 30 წუთი), საშინაო დავალება/სემინარის აღწერა (5-10 წუთი);
5. ვიდეო ლექციის ატვირთვას უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სამსახური, ხოლო გადამზადებული ლექტორი თავად ახდენს ონლაინ ლექციის ჩართვას.
6. სტუდენტთა ონლაინ აქტივობას ქულების დაწერით აფასებს სასწავლო კურსის ლექტორი.

შეფასების ზოგადი სისტემა უნდა შეთანხმდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და ფაკულტეტის დეკანთან.
7. შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარება ხდება სასწავლო ვადებით დადგენილ პერიოდში.
8. სასწავლო და შეფასების პროცესში გამოსაყენებელ მასალას ლექტორი ტვირთავს: Moodle, -ის, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის, ან კონკრეტული დროისათვის აპრობირებული სხვა ელექტრონული პლატფორმის საშუალებით.
9. სალექციო, სასემინარო და გამოცდების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა სტუდენტის ტექნიკური შესაძლებლობები. არ შეიძლება ისეთი პრაქტიკული თუ საგამოცდო მასალის მომზადება, რომელიც იძლევა მხოლოდ პერსონალური კომპიუტერით ან ლეპტოპით მუშაობის შესაძლებლობას.
10. ელექტრონული სწავლების პროცესში შექმნილი ნებისმიერი ვიდეო ლექცია და ელექტრონული სასწავლო მასალა ეკუთვნის სასწავლო უნივერსიტეტს და ლექტორს. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს არსებული ელექტრონული მასალა თუ ლექტორი გამოყენების დროისათვის დასაქმებულია სასწავლო უნივერსიტეტში ან არსებობს წერილობითი შეთანხმება მასალების შემდგომი გამოყენების შესახებაც.

მუხლი 4. სტუდენტი ელექტრონული სწავლებისას
1. ელექტრონული სწავლების პროცესში სტუდენტთა ავტორიზაცია ხდება კორპორაციული ელექტრონული ფოსტის ან ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის მეშვეობით, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ ერთი სტუდენტის მიერ.
2. ლექციის მოსმენა სტუდენტს შეუძლია ნებისმიერ დროს სისტემაში არსებული ვიდეო ჩანაწერის მეშვეობით. ინტერაქციული ლექციის დროს სტუდენტს შესაძლებლობა აქვს პირდაპირ რეჟიმში ჩაერთოს ლექციას და დასვას კითხვები.
3. სტუდენტი ვალდებულია პირდაპირ რეჟიმში ჩართვა განახორციელოს წყნარი სივრციდან და დაიცვას ინტერნეტ ეტიკეტის ნორმები, ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად.
4. სტუდენტი პრაქტიკულ მეცადინეობას ესწრება/გამოკითხვაში მონაწილეობს პირდაპირი ჩართვით, დადგენილი ელექტრონული ფორმატით ან ასრულებს მისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრულ დავალებას.
5. სტუდენტი ონლაინ სივრცეში შემოსვლით, და ჩართულობით ადასტურებს სემინარზე მონაწილეობას. სემინარზე ვიდეო ჩართულობა აუცილებელი მოთხოვნაა.

მუხლი 5. ხარისხის უზრუნველყოფა ელექტრონული სწავლებისას
1. სასწავლო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების ინსტიტუციური პოლიტიკა შეიცავს ხარისხის
უზრუნველყოფის შემადგენელ ელემენტებს, რომლებიც მოიცავს:
ა) ინსტიტუციურ მხარდაჭერას;
ბ) ელექტრონული სასწავლო კურსების შემუშავებას;
გ) ელექტრონული სასწავლო კურსების სტრუქტურას;
დ) ელექტრონული სწავლების პერიოდში სწავლებისა და სწავლის პროცესს;

ე) ელექტრონული სწავლების პერიოდში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებული, პროფესორის მიერ დაგეგმილი ფორმებითა და კრიტერიუმებით სტუდენტთა გამჭვირვალე შეფასებას; ასევე შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარების პროცესს;
ვ) სკოლის მხრიდან აკადემიური, მოწვეული და პროგრამების განხორციელებაში ჩართული დამხმარე პერსონალის მხარდაჭერას და ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით მათი სავალდებულო ტრენინგით უზრუნველყოფას;
ზ) სტუდენტთა მხარდაჭერას და ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით საჭირო ინსტრუქციებითა და წესებით მათ უზრუნველყოფას;
თ) ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურების შეუფერხებლად და გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობას;
ი) ელექტრონული უსაფრთხოების ზომებს.
2. უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების პროცესის შეფასებას ახდენს:
ა) სტუდენტი, ამ დებულების დანართი N1-ის შესაბამისად;
ბ) პროფესორი, ამ დებულების დანართი N2-ის შესაბამისად;
გ) პროგრამის ხელმძღვანელი, ამ დებულების დანართი N3-ის შესაბამისად;
დ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ამ დებულების დანართი N4-ის შესაბამისად.
3. ელექტრონული სწავლების გარე ხარისხის შეფასება ხორციელდება უცხოელი და ქართველი ექსპერტების კონსულტაციითა და ჩართულობით.

მუხლი 6. ელექტრონული სწავლების მონიტორინგი
1. ელექტრონული სწავლების პროცესის მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რაც მოიცავს სასწავლო ცხრილის მიხედვით აუდიო-ვიდეო ლექციების, სასწავლო მასალებისა და სემინარების მასალების განთავსების კონტროლს;
2. ელექტრონული სწავლების პროცესში გამოყენებული მასალების შინაარსის მონიტორინგს ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურთან კოორდინაციით.
3. ელექტრონული სწავლების პროცესში აკადემიური პერსონალის დახმარებას, გადამზადებას, მასალების ატვირთვის კონტროლს ახორციელებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური

მუხლი 7. ინტერნეტ ეტიკეტი და პერსონალური ინფორმაციის დაცვა
1. ელექტრონული სწავლების პროცესში ინტერნეტ ეტიკეტი მოიცავს:
ა) პროფესორისა და სტუდენტის ურთიერთპატივისცემას;
ბ) ყურადღება და დროის ლიმიტის დაცვას;
გ) იუმორისა და სარკაზმისაგან თავის შეკავებას;
დ) პეროსნალური ინფორმაციის არ გაზიარებას;
ე) ჯანდაცვის მიმართულების სტუდენტთა მხრიდან პაციენტის პეროსნალური დიაგნოზისა თუ სხვა სახის ინფორმაციის ონლაინ გადაგზავნა-გაზიარების აკრძალვას;
ვ) დისტანციური შეფასების პროცესში აკადემიური თაღლითობის აკრძალვას, რაც გულისხმობს სხვა პირის მიერ დავალების შესრულებას, გადაწერას, სხვა პირის დახმარებას და ა.შ.

ზ) სხვა ქმედებებს, რომლებიც არ შეესაბამება საგანმანათლებლო სივრცეში ქცევის ზოგად წესებს და ხელს უშლის სწავლა-სწავლების ნორმალურ განხორციელებას.
2. ელექტრონული სწავლების პროცესში დაცული უნდა იყოს დისკუსიის პანელის ეტიკეტი, რაც გულისხმობს მხოლოდ საკითხთან მიმართებაში დასმული კითხვებს, საკითხების დაზუსტება უნდა მოხდეს ინსტრუქტორთან და არა ჯგუფის წევრებთან, სხვების აზრის პატივისცემას, არგუმენტირებული პოზიციისა და არა მხოლოდ „ვეთანხმები არ ვეთანხმები" პოზიციის დაფიქსირებას. დისკუსიაში აქტიური ჩართულობა არის მონაწილეობის მთავარი მოტივაცია.
3. ელექტრონული სწავლების პროცესში დაცული უნდა იყოს ელექტრონული გზავნილების ეტიკეტი, რაც გულისხმობს:
ა) ელექტრონული გზავნილის (ელექტრონული ფოსტა, სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში მიმოწერა, სწავლების პროცესში გამოყენებული სხვა სხვა პლატფორმაში მიმოწერა) საგანი უნდა იყოს მოკლე და მიზნობრივი;
ბ) გზავნილში ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა განთავსდეს დასწყისში;
გ) პირადი რეგალიების/ვინაობისა და დასაბრუნებელი გზავნილის მისამართის მითითებას;
დ) გაგზავნამდე ადრესატების გადამოწმებას;
ე) არამდგრად ემოციურ მდომარეობაში ელექტრონული გზავნილის გაგზავნისაგან თავის შეკავებას;
ვ) გადამოწმებას, რომ თანდარული დოკუმენტის ფორმატის გახსნა შესაძლებელი იქნება ადრესატის მიერ.
4. ელექტრონული სწავლების პროცესში დაცული უნდა იყოს პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპი. აკადემიური პერსონალი ვალდებულია წინასწარ მოახდინოს სტუდენტთა ინფორმირება, რომ ხორციელდება ლექციის ჩაწერა. სალექციო ჩანაწერი შესაძლებელია გამოყენებული იქნას მხოლოდ შიდასაუნივერსიტეტო მოხმარებისათვის (მონიტორინგი და ხარისხის კონტროლი).

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები
1. ელექტრონული სწავლების წესი გამოიყენება რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ პერიოდში ან სილაბუსით განსაზღვრულ ფარგლებში.
2. აღნიშნულ წესში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

დანართი N1. სტუდენტის მიერ ონლაინ კურსის შეფასების ფორმა

1. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით შეაფასოთ რამდენად ფარავს ონლაინ ლექცია სილაბუსით, კონკრეტულ კვირას გათვალისწინებულ თემას.
(შენიშვნა)

---
2. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით შეაფასოთ ონლაინ ლექციის თემატიკა რამდენად გასაგებად იყო მოწოდებული.
(შენიშვნა)

---
3. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით შეაფასოთ რამდენად დაგაინტერესათ ლექციაში დასმულმა საკითხებმა.
(შენიშვნა)

---
4. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით შეაფასოთ ლექციის აუდიო - ვიზუალური მხარე.
(შენიშვნა)

---
5. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით შეაფასოთ რამდენად გასაგებად იყო მოწოდებული ლექცია და დავალება.
(შენიშვნა)

---
6. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით შეაფასოთ კურსით გათვალისწინებული სასწავლო მასალებისა და სავალდებულო ლიტერატურის მისაწვდომობა თქვენთვის.
(შენიშვნა)

---
7. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით შეაფასოთ თქვენი განწყობა, ლექცია მოგესმინათ განმეორებით.
(შენიშვნა)

---
8. შეაფასეთ ხუთბალიანი სისტემით რამდენად კმაყოფილი ხართ ლექტორებთან კომუნიკაციით.
(შენიშვნა)

---

9. ელექტრონული კომუნიკაციის რა საშუალებით სარგებლობთ დისტანციური სწავლების დროს.

---
10. რამდენად ხელმისაწვდომია თქვენთვის შეუზღუდავი ინტერნეტი.

-
11. რისი შეცვლა ან გაუმჯობესება გსურთ კურსის დისტანციურ სწავლებაში.

გაითვალისწინეთ, რომ 5 უმაღლესი შეფასებაა, 1 - უმცირესი შეფასება.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გისურვებთ წარმატებებს!

დანართი N2. ონლაინ კურსის განმახორციელებელი პროფესორის შეფასების/თვითშეფასების ფორმა

1. გთხოვთ, მიუთითოთ ლექციაზე შემოსულ სტუდენტთა ოდენობა.
---

2. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით შეაფასეთ სტუდენტთა ჯგუფის ლექციისათვის მზაობა.
(შენიშვნა)----------
---

3. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით შეაფასოთ სტუდენტთა მზაობა სილაბუსით გათვალისწინებული ყოველკვირეული აქტივობისთვის?
(შენიშვნა)----------
---

4. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით შეაფასოთ სტუდენტთა აქტიურობა ლექცია-სემინარებზე
(შენიშვნა)----------
---

5. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით შეაფასოთ სწავლა-სწავლებისთვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა (სასწავლო მასალის მიწოდება და ა.შ)
(შენიშვნა)

---

6. რა პრობლემებს შეხვდით ელექტრონული სწავლების პროცესში?

---

7. ჩაწერილი ლექციების მოსმენის შემდეგ, რომელ ნაწილს თვლით პრობლემურად და ისურვებდით გაუმჯობესებას, ხელახლა ჩაწერას? · პრეზენტაციის ნაწილს · თხრობის ნაწილს · დავალებების მიცემის ნაწილს · სემინარის ნაწილს · არცერთს

---

8. კიდევ რისი შეცვლა ან გამუჯობესება გსურთ კურსის დისტანციურ სწავლებაში?

გაითვალისწინეთ, რომ 5 უმაღლესი შეფასებაა, 1 - უმცირესი შეფასება

დანართი N3. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ონლაინ კურსის შეფასების ფორმა

1. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით (ხუთი უმაღლესი შეფასებაა) შეაფასოთ ლექციის აუდიოვიზუალური მხარე (მაქსიმალურზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში განმარტეთ ლექციის ხარვეზი შენიშვნის გრაფაში).

(შენიშვნა)

---

2. არის თუ არა დაცული ლექციის ჩაწერის და სასწავლო პროცესის სისტემა ,,ძოომ-ში" განთავსების ვადები? დიახ / არა

(შენიშვნა)

---

3. გააცნო თუ არა პროფესორმა სტუდენტებს სილაბუსით გათვალისწინებული მოთხოვნები და შეფასების სისტემა პირველ ლექციაზე?

დიახ / არა

(შენიშვნა)

---

4. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით (ხუთი უმაღლესი შეფასებაა) შეაფასოთ, ონლაინ ლექციის მიმდინარეობისას ლექტორის პრეზენტაციის უნარი და ინფორმაციის მიწოდების ტექნიკა.

(შენიშვნა)

---

5. ამოწმებს თუ არა პროფესორი, რამდენად გასაგებად გადასცა მასალა სტუდენტებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს შესწორებები სწავლების პროცესში?

დიახ / არა

(შენიშვნა)

---

6. ახორციელებს თუ არა პროფესორი სწავლებისთვის საჭირო რესურსების იდენტიფიცირებას და უზრუნველყოფს თუ არა სტუდენტებს სავალდებულო ლიტერატურითა და სასწავლო მასალებით?

დიახ/ არა

(შენიშვნა)

---

7. აჯამებს თუ არა პროფესორი ლექციას და იძლევა გასაგებ, დაწვრილებით მითითებებს?

დიახ / არა

(შენიშვნა)

---
8. ახორციელებს თუ არა პროფესორი ეფექტურად სემინარის ჩატარების პროცესს, ერთი აქტივობიდან მეორეზე ლოგიკურ გადასვლას?
დიახ /არა
(შენიშვნა)

---
9. ასწრებს თუ არა პროფესორი სასემინარო პროცესში ყველა სტუდენტის ჩართვას და გამოკითხვას?
დიახ / არა
(შენიშვნა)

---
10. იყენებს თუ არა პროფესორი სემინარებზე ონლაინ სწავლებისთვის ადექვატურ გამოკითხვის ფორმებს?
დიახ / არა
(შენიშვნა)

---
11. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით (ხუთი უმაღლესი შეფასებაა) შეაფასოთ, რამდენად ობიექტურად აფასებს პროფესორი თითოეულ სტუდენტს სემინარზე?
(შენიშვნა)

---
12. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით (ხუთი უმაღლესი შეფასებაა) შეაფასოთ, რამდენად ასწრებს პროფესორი თითოეული სტუდენტის ხარვეზებისა და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას სემინარზე?
(შენიშვნა)

---
13. აძლევს თუ არა პროფესორი სტუდენტებს რეკომენდაციებს სუსტი მხარეების გამოსასწორებლად?
დიახ / არა
(შენიშვნა)

გთხოვთ გაგვიზიაროთ რისი შეცვლა ან გაუმჯობესება გსურთ ელექტრონული სწავლების პროცესში?

დანართი N4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ონლაინ კურსის შეფასების ფორმა

1. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით (ხუთი უმაღლესი შეფასებაა) შეაფასოთ ლექციის აუდიოვიზუალური მხარე (მაქსიმალურზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში განმარტეთ ლექციის ხარვეზი შენიშვნის გრაფაში).

(შენიშვნა)

---

2. არის თუ არა დაცული ლექციის ჩაწერის და სასწავლო პროცესის სისტემა ,,ძოომ-ში" განთავსების ვადები?

დიახ / არა

(შენიშვნა)

---

3. გააცნო თუ არა პროფესორმა სტუდენტებს სილაბუსით გათვალისწინებული მოთხოვნები და შეფასების სისტემა პირველ ლექციაზე?

დიახ / არა

(შენიშვნა)

---

4. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით (ხუთი უმაღლესი შეფასებაა) შეაფასოთ, ონლაინ ლექციის მიმდინარეობისას ლექტორის პრეზენტაციის უნარი და ინფორმაციის მიწოდების ტექნიკა.

(შენიშვნა)

---

5. ამოწმებს თუ არა პროფესორი, რამდენად გასაგებად გადასცა მასალა სტუდენტებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს შესწორებები სწავლების პროცესში?

დიახ / არა

(შენიშვნა)

---

6. ახორციელებს თუ არა პროფესორი სწავლებისთვის საჭირო რესურსების იდენტიფიცირებას, უზრუნველყოფს თუ არა სტუდენტებს სავალდებულო ლიტერატურითა და სასწავლო მასალებით?

დიახ/ არა

(შენიშვნა)

---

7. აჯამებს თუ არა პროფესორი ლექციას და იძლევა გასაგებ, დაწვრილებით მითითებებს?
დიახ / არა
(შენიშვნა)

---

8. ახორციელებს თუ არა პროფესორი ეფექტურად სემინარის ჩატარების პროცესს, ერთი აქტივობიდან მეორეზე ლოგიკურ გადასვლას?
დიახ / არა
(შენიშვნა)

---

9. ასწრებს თუ არა პროფესორი სასემინარო პროცესში ყველა სტუდენტის ჩართვას და გამოკითხვას?
დიახ /არა
(შენიშვნა)

---

10. იყენებს თუ არა პროფესორი სემინარებზე ონლაინ სწავლებისთვის ადეკვატურ გამოკითხვის ფორმებს?
დიახ / არა
(შენიშვნა)

---

11. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით (ხუთი უმაღლესი შეფასებაა) შეაფასოთ, რამდენად ობიექტურად აფასებს პროფესორი თითოეულ სტუდენტს სემინარზე?
დიახ / არა
(შენიშვნა)

---

12. რამდენად ასწრებს პროფესორი თითოეული სტუდენტის ხარვეზებისა და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას სემინარზე?
დიახ / არა
(შენიშვნა)

---

13. აძლევს თუ არა პროფესორი სტუდენტებს რეკომენდაციებს სუსტი მხარეების გამოსასწორებლად?
დიახ / არა
(შენიშვნა)

გთხოვთ, გაგვიზიაროთ რისი შეცვლა ან გაუმჯობესება გსურთ ელექტრონული სწავლების პროცესში?